

ლახტი



№ 8

კვირა, 27 აპრილი.

ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: თიფლისი. მუხრანსკაია 12, для журнала „ЛАХТИ“.

ფასი 5 კაპ.

№ 8



იხსობოუა მძენ თუღუნელ რა ცობ
 :ნაბ იორღ თოლომენ თემიჩი გნ
 ინურენგ ცგულ პნეღიენ პინობს
 თეიგინონ არა ლო იგეო ინაქ ცობძ
 -გე გმინა მსგისი თეიგინონ
 ლო იტუღეთ რა რამმეგუ ლო სეოიძ
 იშოიენგეც აგოტუ პიოგე ბე
 . მინებოტუნე მტეპინ
 . ცხიმოღუ . 8

აკაკის

მე სოფელელი
 უსწავლელი,
 ტანჯვის ცრემლით გამოზდილი;
 ვიღებ კალამს,
 გაძლევ სალამს,
 დღიურ მუშა შრომის შვილი,
 შენი სახე,
 ერთხელ ვნახე
 და აღვივსე სიხარულით.
 მშვიდი, წყნარი,
 მომლიძარი,
 დაჩაგრულთა სიყვარულით.
 არ ვნატობ სხვას,
 თუ შენს ნახვას,
 ერთხელ კიდევ ვეღირსები.
 ვაშა პოეტს,
 და მისა ბედს,
 შენ არა დროს არ მოჰკვდები.
 არ იწყინო,
 არც დამცინო,
 არ ვჩემულობ პოეტობას.
 თქვენ შესაფერს,
 ჯერ ვერაფერს
 ვღარ მოვსთხოვ ჩემსა გრძნობას.
 ვით სულ-გძელი
 თქვენგნით ველი
 გამხნევებას, თანაგრძნობას.
 გიგო მეგრელი.

ორი სურათი

(გუძღვნი შალვა მათეკაშვილს)

1

ბინდ-ბუნდი გამეფებულა
 მაკენესბელი გულისა;
 არც მთვარე, არცა სხივები,
 მომცემი სიხარულისა!..
 მხოლოდ წყვილია—სიბნელე
 გამეფებულან შვებითა.
 ცა მოკვდა.. აღარ კობტაობს
 ურიცხვი ვარსკვლავებითა!..

2

ნელა იფანტვის ბინდ-ბუნდი,
 ბნელეთის ძალნი ჰქრებიან,
 ცა იწმინდება ლამაზი,
 ღრუბლები იწმინდებიან...
 შორით მოკურავს ცხრა-თვალა,
 მის გულს სხივები სწყდებიან;
 და ველის ტურფა ყვავილნი
 მისაკენ ეშურებიან!..

გ. ლეონიძე.

დაგინახე!

დაგინახე, შე კეკლუცო,
 როს იჯექი მარტოდ გარე,
 როს ბუნება იძინებდა—
 იღვიძებდა მარტო მთვარე!
 დაგინახე, ვერ შეგატყე
 რისთვის იყავ ამ დროს გარე,
 რომ გამეგო ეს იმიტომ—
 ფეხაკრფით მოგეპარე.
 მოგეპარე და რა ვნახე!
 მთლად გაგეხსნა ყველგან დიდი,
 მთვარე შექსა უხვად გფენდა
 და იყავი ფერ-მიხდილი.
 ხან მღეროდი, ხან სტიროდი,
 ხან იჯექი, ნაზო, წყნარად,
 ხან ლექსებსა სიყვარულს
 მოუთხრობდი მთვარეს კვალად.
 ფეხ-გახდილი,
 გულ-გახსნილი,
 ანგელოზის შესადარი,
 ვნების შვილი,
 ნაზი-ტკბილი,
 მთოლვარე და გულ-მდუღარი,
 დადხანს იყავ მარტოდ-მარტო
 თავს აქნედი—ოცნებობდი,
 ნელი სიო თმას გიშლიდა
 და ვერხვივით ირხეოდი...
 ი. მომავალი შვილი.

გურული სცენა

(ვასილას ნაამოჯი)

ჩემისთანა უბედური კაცი მიორე
 თუ იყოს ქვეყანაზე, ღმერთმა დას-
 წყევლოს. შემიჩინენ ყველაყაი, ნა-
 თესავეები, ცოლი შეირთეო. მეც გა-
 მაცოფა თავარ-ანგელოზმა და კი არ
 დიუჯერე ნათესავეებს! შევირთე მა-
 რა, რაი შევირთე. ნეტავი სად მქო-
 ნდა მაშინ აი დასამიწებელი თვა-
 ლები! ცხვირი კაპუეტი მიმინოს ნი-
 სკარტს მოუგავს, თვალი ყვაჭიჭეს
 თვალებს, ტანი ბაბუა ჩემის საცე-
 ხველას. ცეცხლი შეკიდება კაკალ
 გულზე, მარა რაი ვქნა?

დავტოვე ცოლი და დედა შინ
 და წვევდი თფილისს ფულის საშო-
 ვათ, დავდექი კრუჟონიკში და ვმსა-
 ხურე სამი თვეი თუ არა, მომივიდა
 წერილი ბიძაშვილისაგან: ძამიავ, ვა-
 სილავე! თუ დგანხარ არ დაქდე, თუ

ქდანხარ ადექი და წამოი. ცოლს
 და დედას ცოცხალი ჩოუსარიო.

თქვენი მტერი ჩავარდეს მისთანა
 დღეში, რაც დღეში შე ჩავარდი.
 ვავაგებე ყოლფერი ჩემი გაჭივრება
 ხაზინს, გამოვართვი ფული და წე-
 ვედი ტანისამოსის საყიდლოთ. შევე-
 დი ერთ დიდ მაღაზიაში და უთ-
 ხარი მემალაზინს, თუ ჩემი ძამიე
 ხარ, კაი კასტრუმის ტანისამოსი მო-
 მეკი თქვა. მე გულ-გახეთქილი მა-
 ინც ვიყავ და იმან თლა გამჟკლი-
 ცა: ჩვენ კასტრულებს არ ვყიდითო
 და დეიდრიჭა ყველის ვაჭარივით.

— ვის დაცინი, შე გაბერილო
 მეთქი და დუუყვირე, ჩქარა ტანი-
 სამოსი თქვა. უკაცრავათ ჩემო ძამო,
 მაგას კასტრული კი არა, კასტუმი
 ქვიაო, და გადააწყუო პერვოი სორ-
 ტის ტანისამოსი. მივეცი კაკალი
 შვიდმეტი მანათი. ჩვეიცვი, გვეი-
 ქიმე სეკლატარივით. გადმოვადლები
 ცინტრიმიტრის ქული... დევინურე
 თავზე... გვეიკეთე კისერზე კრახმანი,
 მოვაბი კრახმანს ლენტი, დავიბი
 მუცელთან და მოუსვი სტანციისკენ.
 ავიდე ბილეთი, ჩავედი მაშინაში
 და ფხეკა მოვადინე ნიგოითის სტა-
 ნციაში. ჩავედი ფაიჭონში და მო-
 უსვი შინისკენ. რო მივადექი ჰის-
 კარს, ჩვეიხედე ეზოშით, სამსეა მე-
 ზობლებით. მე ვიფიქრე დავლუპუ-
 ლვარ კაცი, მომკვტარა ორივე მე-
 თქი.

რო მივაწიე შვა ეზომდის, გამო-
 კურცხლა აქითან ცოლი, იქიდან
 დედა, დამირთეს და დამირთეს ჯი-
 ლები: შენ რეიზა მეიყვანე ამისთანა
 ცოლიო, შენ რეიზა დამტოვე ამი-
 სთანა დედამთილთანო. დევინენი
 კაცი ბატვით.

ავათ კი არა ყოფილან, მისთანა
 ამბავი ქონებიათ ყოველ დღე, რო-
 მე მტერისას იყოს. ა. ძამაძია.

ალგოფუი

(მასწავლებელ ქალს ნა—იას)

ვერარას ვიტყვი მე ახალს,
 რაც არ თქმულა შენს ალბომში,
 მე მინდა მხოლოდ ერთი რამ:
 შრომის შეილებს უდგე გვერდში.

არ მომკვდარა — არც მოკვდება, ვინც დაჩაგრულს უდგას მხარში, ვით სალი კლდე შეურყევლად არ შორდება გასაქირში.

იმედი მაქვს შენც გამოზრდი, შრომის შვილებს — შრომობლებისთვის ჩაუბერავ უკვდავ შენს სულს, მოამზადებ მომავლისთვის.

დაე, მერმედ თუ გინდ მოჰკვდე, წუთი სოფელს ნუ იღარდებ, რაც წილად გხვდა შეასრულე და პირნათლად მას აბარებ.

6. დავთიშვილი.

სოცხალი აგვანი

„თემის“ რედაქტორმა გრ. დიასამიძემ მოუწოდა თავის გაზეთის საშვალეობით ქართველ ახალგაზრდა მგოსნებს, რუსეთის გამოჩენილი პოეტი ბალმონტი, საქართველოში სტუმრად მოდის და სადგურზე დაუხვდითო.

რასაკირველია, გრ. დიასამიძეს არავინ გაუგონა. დასახვედრად დიასამიძემ სანდრო ყანჩელი, აკაკი წერეთელი და მიხელ წულუკიძე წაიყვანა. ხოლო მესამე დღეს „თემში“ ასე სწერდა თითონ დიასამიძე: გუშინ-წინ ჩამობდნენ რუსეთის მეტად გამოჩენილი პოეტი ბალმონტი და ჩვენი ახალგაზრდა მგოსნები დიდას აღტაცებით მიეგებნენო.

ბალმონტი გრ. დიასამიძემ პირდაპირ თავის გაზეთის რედაქციაში წაიყვანა. ბალმონტმა ჰკითხა მისვლისას დიასამიძეს: რამდენი გაზეთი იბეჭდება ქართულ ენაზეო? ერთიო, მიუგო დიასამიძემ. ერთი იბეჭდება, თუ სხვა წვრილმან გაზეთებს არ მივიღებთ მხედველობაშიო. ამ პასუხმა დააინტერესა ბალმონტი და იკითხა: რომელი არის ეს ერთი უმთავრეს გაზეთიო? დიასამიძემ მიუგო — ეს ერთი, „თემი“ გახლავთ, ჩემი გაზეთიო. ბალმონტი და დიასამიძე ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ამ დროს იქვე მდგომმა აკაკიმ წარმოსთქვა: რუსეთი და საქართველო ძლივს შერიგდნენ და ერთმანეთსა ჰკოცნიანო.

გაიხი

(გარსკვლავეთ-მრაცხველობა)

როგორც ყვავილი იფურჩქნება და ჰყვავის მაისში, ისე გადიფურჩქნება ქართული მწერლობა.

ჩვენ გასალახტავ პოეტებს რედაქციების სამწუხაროდ აღმოჰხდებათ ლექსი მრავალი — გაზაფხულისანი.

ჯერ ჩვენ რეაქციას მოერთმევთ: გ. სკამკაჩიშვილი — ლექსი „გაზაფხულის ყაყაჩო“.

ბ. სუსხიშვილი — ლექსი „ობოლი ვარდი“.

ი. ტოფაძე — ლექსი „მშვენიერი დილა“.

გ. გაზაფხულისპირჯეს — ლექსი „იას სილურჯითა“

ეფრემ ერანტაძე — „გაზაფხული“ რომანი სამ ტომად.

ვინმე ისაკა — „გარდაიცვალა ზამთარი“ დრამა 5 მოქმედებად.

ყველა ამ ლექსებს, რედაქცია დიდი სიამოვნებით და ჰინოორარის ძლივით დაჰბეჭდავს.

აგრედვე მსურს ეხლავე ვაუწყო მკითხველებს, რომ ქართულ ლიტერატურას შეემატა შემდეგი განძი: „ოქროს კოცნა“ ი. გრიშაშვილისა.

„მთაწმინდა“ ლირიკული პოემა ი. მჭედლიშვილისა.

სიმღერა

ქარმა ტიაღმა შემოდგომისამ, დე გამითხაროს, ბედკრულს სამარე. ზედ ქვა და ღორღი გადმომფინოს რომ ვეღარ მშხერდეს ლაყვარდით მთვარე.

დე, გამირისხდეს ბედის ვარსკვლავი, ტალღამ შთაჰინთქას იწედის გემი. ოღონდ მიმიღოს სამშობლოს მიწამ, ოღონდ თან მახლდეს სამშობლო ჩემი!

გ. ლეონიძე.

წერილი კახარკაულიდან

ალახვეთ ყურნი სმენად და ისმინეთ ქვეშევრდომნო ძლივე-მოსილი „ლახტისა“ შემდეგი ამბავი ესე:

ნაბიჯსა ორმოცი მილიონისა ქ. ტფილისიდან, მდებარეობს მუნ სოფ. პატარძელი, რომლის შვილთა და მეკომურთა გაბრძენებულთა ქვეყნისა ამა სიბრძნისათა მოიწადინეს სწავლა უღრმესი ყოველთა ფილასოფთასა ბერძენთა, თუ ჰრომაელთა და სხვათა!

ამისათვის, შუა ალაგსა სოფლისასა, ზედ იპოდრომისა, განაღეს წიგნთ-სამკითხველო, წოდებული მცხოვრებთა მიერ „ბიბლოთკად“, სადაც მოზიდნეს ეტლებითა მრავალნი წიგნი და სიფრთხილითა დიდითა, მოწიწებითა და პარაკლისისა გარდახდითა დააწყეს მუნ კიდობნად „აღთქმისა წიგნი იგინი“ და მაგრად მიჰქეტეს კარნი ბიბლიოთეკისასა, რათა არავის სულიერთა თუ უსულილოთა არ ძალუძდეს ხილვა ამა წიგნთა...

და იღვინენ მრავალი წელნი, სიმრგვალე წელთა, „სჯულისა წიგნი“ ესე კიდობანებად და გაშვდნენ იგინი წიგნი და მრავალჯის დებიოთა ფურცელი წიგნისა დაეკრა ფურცელსა ზედა, ვითარცა მიჯნური მკერდსა მიჯნურისასა და გადაფურცელა არ ძალუძს არა სულიერთა.

და შუა ალაგს მას, „ბიბლოთეკისასა“ აღმოხდა მუნ ტბა საშინელი ხილვითა და სუნითა და აჰყროლდა ბიბლიოთეკა იგი, ვითარცა გენია ცეცხლგანი... და გაჰმრავლდნენ მუნ ბაყაყნი და ღრიანკელნი და მრავალი მცურავნი ქვესკენისანი და ჰმართვენ იგინი ყიყინითა კონცერტსა და ოპერა-საღამოსა სალიტერატუროსა!.. და ჰსუფევს მუნ შმორი საშინელი... და არა აქვს მგზავრს მოსვენება. ხოლო ინტელიგენტნი იგინი ლაყობენ და უბნობენ ტრკიალითა, ღრიალითა, ყვირილითა, „ტროსტისა“ ბაკიბუკითა და სხვა და სხვა საგანთა შესახებ, ზღუდესა და დერეფანსა მისსა... ხოლო ნეტარ არს კაცი, იგი რომელმაც განაღოს სამკითხველო იგი!..

* *

აბასთუმანი

(სურათი)

მუდმივად ამწვანებული აბასთუმნის მადლი ქედი,
 უკლ-მოდერილი დასტკერის ძირს, აკე-მარეს;
 ბეგრჯელ განსტადა კაკასიონის სხვა მთათა ბუდი,
 მაკრამა მაინც ვერ შეუცვლია სამთრისა მწარეს.

გინ უწვის რამდენ მებრძოლის უმანკო სისხლი აქ დანთხუელა,
 და მთისა ნაკადულებში წითელ ზოდებად შეერთებულა,
 ვეღვი ტრიალი შედებოდა... ბეგრჯელ ტბებთანც დაკეებულა...
 და ესტა-კი დროთ-ბრუნვისგან სამუდამით დაფიქრებულა.

ტრეხილ ტყეში მადლობზე სდას ცხე მეფე თამარის,
 რქრას სხნისა მბრძანებლის, ჩაგრულთა შემწე-მეგობრის
 თემბრთი იმისი, ვისი სასუელიც მთელ ქვეყანაზე გრგვინავდა,
 და საბრძოლველად შებმსა მასთან ვერავინ ქბუდავდა.

ამის მდუმარე კედლები ხეობას გადასტკერიან,
 ირგვლივ ფიჭვნარი ამშვენებს, ცას ბურჯად ებჯინებინ.
 მთის ძირთან რი მიდინარე ჩრდილო-დასავლეთ მორბიან
 და ურთი-ურთსა ძმურადა, ლიკლოვით უერთდებიან.

წარსულ დროების ამბებსა ძველ ცხეს ეუბნებიან,
 შემდეგ-კი რნივ გიჟმაფნი ფოცნოვისაკენ მიბიან.
 მზე დაქქათათებს მადლიდან მამულიშვილთა საფლავებს,
 ამის ბჭეთ ქვეშ დამარხულთ, სამშობლოს ერთგულ დამცველებს.
 იმათ, რამელებიც თამამად აფრიალებდნენ ალამსა,
 და ძველით მისილ თამარსა უძღვნიდნენ ქება-საღამსა.

მწარე;

განვლეს წელთ-რინცხმა, საუკუნებმა... ცხესაც ერგო შავ-ბედი
 უწინ გმირ-ლომი, მტკრთ რისხვის მცემი, ძირს იუურება ვით
 ცოცხალ-მკვდარი.

დამით, რის მთვარე ანათებს, და შავ-დრუბელი არ ქფურავს,—
 მიუვალ ვიწრო ხეობებს, ბინდ-ბუნდის ჩადრი არ ქსურავს,—
 ცხის ნანგრევი მის შექზე ღამაზადა სჩანს, თვალს ქსობლავს.
 ცუქქი ნიავიც მთის გრეხილს სასამოვნოდ დაქქროლავს.
 და ქუთქობს: ნუ თუ წარსული, რამდის დადებს მშობლებს ეს—
 ისე დაეცა, წარვიდა, რამ ადაროღეს დაბრუნდეს?!

მსოფლიოს უფვე კუთხიდან სხეული აქეთ იღტვიან,
 და ამ მდუმარე წიადში სიცოცხლის წყაროს სძებნიან;
 იმედს არ ქკარგვენ, სარობენ.. ბეგრი აქ იკურნებიან
 და რის წადილსა ისრულევენ მადლობით ეთხრებიან.
 ბეგრნიც სიცოცხლის ნატვრაში, უდროვოდ იხრებიან,
 ჭირის-უფელთა უცრემლოდ შავს მიწას ებარებიან,
 რის სამთრის მოახლოება აჯარავს აცარიელებს,
 და ქარ-ბუქიცა ბრძოტობს.. ხეებს ქვლეწავს, გრიალებს:—
 მათ სამარეზე ნადირნი გულის შემზარად ღმუიან,
 ზევიდან სვანთი-უოკანნი დასტრიალებენ. . ყიფიან!..
 თოვლი საბანად აფარებს თავისა თეთრსა კაღასსა,
 მაგრამ ქვ, განა ისინი მიტომ ესტუმრენ ამ მთასს?!

ს. ერთაწმინდელი.



მესტვირული

სწორედ მეტად შემოიფარდა
 ლექსის წერა, გულა სტვირი,
 სოფელ-სოფელ ვიარები,
 გადვიკიდე თავზე ჭირი.
 ზემოჩინათ შეველდექი,
 დიდი ვნახე გასაჭირი:
 სკოლის კარებს მივადდექი,
 სადაც ბუდობს კაცი-ვირი.
 მთლათ სოფელი გადიკიდა
 არ ღირს ერთი შაურია,
 ჯამუშობს და ფარისევლობს
 დღეს ილია ჭანტურია,
 თოფ-ზარბაზანს თან ატარებს,
 ზოგს ესერის და ზოგს ავინებს,
 პატროსან მუშა ხალხსა,
 გზაზე ხეთება და აშინებს.
 ერთს დუქნის წინ დაეტაკა
 ღვინით მთვრალი შორეული,
 დოქი მხარზე გაუტება,
 თვით შეიქმნა მხიარული.
 ამნაირად მუშა კაცსა
 აუბნია გზა და კვალი,
 და შემდეგ კი გაიპარა
 უსინიდილო, ჭკუით მთვრალი.
 ღამ-ღამობით ოჯახებში
 დამუნძულობს, როგორც მგელი
 შეაწუხა მთელი კუთხე,
 შეაწუხა მთლათ სოფელი.
 სოფელს ნდობა დაეკარგა,
 უმფროს თხოვნა გაუგზავნა,
 იძახოდნენ: მოგვაშორეთ

მავნე პირი ამისთანა,
 ჭანტურიამ შეადგინა
 ხულიგანთა კამპანია:
 კირილე და გიგოიეი,
 თან ხალამპრე აბდალია,
 თავი მართლად გამოსახა
 ხულიგანთა დახმარებით,
 და სოფელსა დამარცხება
 მოინდომა მან ხერხებით.
 ახლა მინდა მათი გვარი
 მკითხველებსა მოვახსენო;
 რაინდები მოქმედებით
 რომ შევამკო დავამშვენო.
 ერთი არას ბლაყვი ბიჭი,
 კირილაი ჭყონიელა,
 უჭკუო და ენა ცუდი,
 გაიძვერა ვითა მელა.
 მეორეა ბურდლულიაი,
 გიგოიეი სარჯველაძე,
 ვის კარავი გადუბრაწეს
 გლახათ არის გუნებაზე.
 მესამეა შემპარავი
 ხალამპრეა ჯორბანაძე,
 მარჩიელი-ფერშლუკაი,
 მატყუარა, ტრაბახაძე
 ამ სამ პირთა დახმარებით
 ჭანტურია ბაქი-ბუქობს,
 არ შორდება ის სოფელსა
 და სკოლაში კვალად ბუდობს.
 ენახოთ როგორ გადაწყდება
 სოფლის საქმე, სოფლის ჩარხი,
 მარა ვფიქრობ, მართლის მთქმე-
 ვაიმაჯვებს მალე ხალხი. |ლი
 ამნაირათ დათარეშობს
 ხულიგანების დიდი ჯარი,
 და მიზღვევენ ჭანტურიას,
 როგორც ძროხა, როგორც ცხვა
 მავნე პირნი გაგვიმრავლდა, |რი.
 საქმე ხდება სოფლად ცუდი,
 საქიროა ხულიგანებსა,
 გადუცხუნოთ „ლახტის“ კუდი.
 თა—რა.

ამოღობს სოხოს

მივიღე... მადლობელი ვარ,
 შენი გულისა, სულისა,
 ახლაც კი მესმის რაკრაკი
 იმ მშვენიერი კულისა,
 რომლითაც ღვინოს მასმევდი,
 მალხენდი, მახალისებდი,

ზამთრის ჭირ-ვარამს მიკლავდი
 ვარდებით მამაისებდი.

რა მშვენიერი ყოფილა
 იმედი შიმშილიანი,
 თავით ბოლომდე ლამაზი
 გამწყდარი—სინსილიანი.

მივიღე... მადლობელი ვარ,
 კაცი ყოფილხარ ღვთიანი;
 გულით და სულით მდიდარი
 და სიტყვა ბააარაკიანი.

შიო-მღვიმელი.

თაბრი და ლოტო

(დაგვიანებული რეცეპია)

გასულ შაბათს... უკაცრავად შა-
 ბათს კი არა ხუთშაბათს, მე სხვა
 თეატრების ანგარიშზე წავედი... პო,
 ხუთშაბათს გავემგზავრე თეატრში
 ე. ი. ხარფუხის „კლუბში“; ამ დღეს
 წარმოდგენა იყო დანიშნული ხარ-
 ფუხის სახ. წარმ. მმართველ წრისა.
 „ვანის გავეყარე, ვუის შევეყარე“.
 ავიღე ბილეთი და შევედი დარბა-
 ზში. მრავალ ხალხს მოეყარა თავი.
 ზოგს სახე უღიმოდა, ზოგი კი მო-
 ლუშულიყო. ლაპარაკის ტემა ასეთი
 იყო:

- მე წუხელ 5 მანათი წავაგე.
- მე სამი.
- მე ორი და ათი შაური.
- მე მოვიგე.
- მეც მოვიგე.
- მეც!..

ამ ამბავზე განცვიფრებით შევი-
 კითხე ერთს ნაცნობს:

- ამაღამ წარმოდგენა მიდის?
- დიახ—მიპასუხა მოკლედ.
- მე გამეცინა.
- რას იცინით?
- მე, არაფერი... აი... ამ არა-
 ჩვეულებრივ ხალხზე მეცინება. კლუ-
 ბში სიარულით ძალიან გაწვრთნილან

— ეგ ცოტა გინახავთ! კიდევ
 ბევრ რასმეს ნახავთ..

მართლაც ექვი არ გამიცრუვდა.
 მეორე ანტრაქტის მესამე ხარი და-
 რეკეს თუ არა, ერთი წუთიღა
 აკლდა ფარდის ახდას, რომ გარე-
 დან ერთი აურ-ზაური მოისმა. მე
 ცნობის-მოყვარეობამ გამიტაცა და
 დარბაზიდან გავედი, რომ გამეგო

საქმე რაში იყო. გამგეობის „მო-
 რიგი“ წვერი ასეთ სიტყვებს ეუბნე-
 ბოდა ერთ თათარს:

— ია ვას ნე პროპუშჩუ! ვოზმი-
 ტე ბილეთ!..

— სლუშაი, ია ვაში სპეკთაკლი
 ნე ხაჩუ, ია კარტი ხაჩუ იგრატ,
 ფანიმაიში?..

მორიგი წვერი ბევრს არწმუნებ-
 და, რომ დღეს წარმოდგენა არის
 და უბილეთოდ შესვლა არ შეი-
 ძლებოა. მაგრამ ვერაფერი გააწყო.
 ბოლოს ორი პატივცემული პირი
 (წრის გამგეობის წევრები) ჩაერივ-
 ნენ „წესიერების დასაცველად“ და
 უბრძანეს მორიგს, რომ თათარი
 „კლუბის“ მუდმივი სტუმარია, დი-
 დი ხეირის მომცემი, რომ მისი წყე-
 ნინება არ შეიძლება და „უვათენიი-
 სთვით“ უსათუოდ უნდა შეუშავო.
 ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა
 მორიგმა დაიყვირა:

— მე დღეს მორიგი ვარ, და
 როგორცა მსურს ისე მოვიქცევი!..

— ხართ და შეგიძლიანთ აღარ
 იყოთ!—მორიგი მაშინათვე მოხსნეს
 და თათარი დიდის მოწიწებით შე-
 იყვანეს ცალკე ოთახში, სადაც გა-
 ხურებული „ცხრა“ იყო გაჩაღებუ-
 ლი. ამ აურ-ზაურში ისე დავიბენი,
 რომ წარმოდგენა თვალთათვი არ მი-
 ნახავს რა შინაარსისა იყო. წარმო-
 დგენის შემდეგ გაჭიმეს გრძელი
 მაგიდა და „ლოტოს“ სათამაშოდ
 გარს შემოუსხდნენ: მუსულმანი, ქა-
 რთველი, სომეხი, რუსი და სხვა.
 ერთი სიტყვით, სურათი ინტერნა-
 ციონალური იყო. ხოლო მორიგი
 წვერი სიკო თითბერიძე „ურჩობი-
 სთვის“ სამართალში მისცეს.

ბატონებო! გინახავთ სადმე ერთ
 საღამოს წარმოდგენა, „კარტი“ და
 „ლოტო“?! მახლას, ალბად პრო-
 გრესია. მე კი რაც იქ ვნახე, ღმე-
 რთმა ნულარ მანახოს!

დ. მელია.

ავეუ სრბოლას

ყოფნის სამოს ქარი არხვეს,
 ყოფნის სამოს ყინვით დამძრალს.
 ოქროს იმედს აცამტვერებს—

ოქროს იმედს!.. იმედს დამდნარს...
 აფრა გაშლილ ნავის მარმას,
 ზღვის გულ-მკერდში შეცურებულს
 ტალღა დანთქმას ემუქრება
 ჟამთა სრბოლით მისუსტებულს...
 მიწის ცოდვილ მყურდროებას
 მზის სხივები ცრემლათ აღნობს
 და დემონი გესლის წყევით
 სულის რაყიფს წყევით ათრობს,
 აყვე სრბოლას, ჩემს გრძნების ჩანგს,
 გადავენასკვე წყვეის სიმი,
 ვაკვენსარე გლოვის ჰანგზე,
 ტუჩს ჩაუკალ ტრფობის ღიმი.
 თუ ვიხილავ მოძმეს მცინარს
 მეც ვაცივებ მკვენსარ სიმებს,
 ავაყვავებ დამქვნარ იმედს
 და მიუძღენი თეთრ ყვავილებს.

ტალღა.

წაკვლევი

(ჭა:თურისთვის)

ძალდიც არ დაჰყვეს მანდილოსაი
 ამას გვარწმუნებს ყველა ჰკვიანი, |ნსო,
 მაგრამ სცდებიან ძალზე უარესი
 ყოფილა ზოგი ადამიანი.

არც გათეთრდება შავი ყოჩანი
 რაც უნდა ხეხო იგი ქვიშითო,
 ვერც შეიფერებს ვირი, წაბრძანდის
 თუ არ გარეკე „ჩოქში-ჩოქშითო“.

ვირი რაც უნდა აბედაურო,
 ის მუდამ ყველგან მინც ვირია,
 გარწმუნებთ მისი გადაგვარება
 ბუნებისთვისაც გასაჭირია.

თუნდა შემოსოთ ის ღომის ტყავით,
 არ შეიცვლება მათი ჯიშია,
 სხვა გვარ მოჰპრობას ვერ შეიფერებს
 თუ არ უძახე „ჩოქში-ჩოქშია“.

თუ გინდ რომ მორთო ძვირფასი
 ვერცხლით შეამკო უნაგირია, |რახტიო
 მოკლე კუდიო და გრძელი ყურებით
 მაშინვე იცნობთ რომ ის ვირია.

ამათ მაგალითს გვაძლევს კირილე
 ვითომ პოეტი, ვითომ მწერალი,
 შეუღებელი უზრდელ-უწვრთნელი
 მაღალ ხმოვანთა ჰანგზე მღერალი.

ნამუსიც კარგი საქონელია,
 ესეც კი უთქვამსთ იმა ჰკვიანებს,
 მაგრამ ამ მცნებას შეასმენთ განა
 კირილესთანა ადამიანებს?

მინდა ამ გვარი ბევრი გიამბოთ,
 რამ საგულისხმო და საარაკო,

მაგრამ მრცხვენია ნაქებ მწერალზე
 ამდენი როგორ ვილაპარაკო.

ამით ვათავებ და რუს-იმერელს
 ბოდიშის მოხდით ვკადრებ საყვე-
 დურს,
 თავს რომ ჟყადრებ იმ მოშაირეს
 და მის შაირებს იგი უგდებს ყურს.

როცა უზრდელი გაქებს, გადიდებს,
 შეურაცხყოფათ მისაღებია,
 თორემ იმისგან ლანძღვა-გინება—
 ვისგან რა ყურის დასაგდებია.

ეს იყო მორჩა აღარ ვსწერ მეტსა,
 რუს-იმერელსაც დაუგდებ ყურსა,
 თუ რა დასწეროს იმის შესახებ,
 ვილაც კირილე, რომ ლანძღავს მასა.

გ. ჩხოკიხიძე.

სუსხიანი აზვები

◆ გაზეთებს სიზმარში მოჰლან-
 დებიათ, ვითომ ბალმონტი თავისი
 გრიგოლ დიასამიძით, სანდრო ყან-
 ჩელით და გრ. ყიფშიძით ქუთაისში
 ჩასულთყოს. ეს სიზმარი ყველა გა-
 ზეთებმა ისე გვაცნობეს, ვითომ ნამ-
 დვილად ასე ყოფილიყოს, მაგრამ
 როგორც გავიგეთ, სიზმარი ერთი
 კვირის შემდეგ აუცხადდებაო.

◆ ქართულ თეატრის გამგეობას
 გადაუწყვეტია, რადგანაც ზოგიერთ
 წარმოდგენა საღამოებს დიდძალი
 ხალხი აწყდება და ქართული თეა-
 ტრი კი ვერ იტევს, ამისათვის თი-
 თო სკამის ბილეთი სამიოთხი გა-
 ჰყიდოს ერთნაირის ნომრებით, რო-
 მლებიც უკვე სცადეს „გალერეიაში“
 23 აპრილს ი. გრიშაშვილის სა-
 ლამოზე.

ჩვენებური აძბები

ძუთაისი. ქუთაისის საზოგადო-
 ება მეტად შეწუხებულია თომა პუ-
 სას ზანდუკში მომწყვდევით. საქმე
 შემდეგში მდგომარეობს: როგორც
 ვიცით ამ ბოლო დროს თომა პუსამ
 ბებია მისისაგან ზანდუკი ინათხოვ-
 რა და იმ ზანდუკიდან ზოგს ტკბი-
 ლეულობას და ზოგს მწარეულობას
 აწვდიდა. ამას წინად, როცა ზან-
 დუკი ჩვეულტბრივად გაუღია, ვილა-
 ცას უკანიდან ხელი უკრავს, თომა
 პუსა ზანდუკში ჩაუგდია, ზანდუკი

მაგრათ დაუკეტია და კლიტე თან-
 ვე წაუღია.

ბოროტგამზრახველის მოსაძებნათ
 და თომა პუსას ზანდუკიდან გამო-
 საყვანად ფიცხელი ზომებია მიღე-
 ბული. ბევრი ცდისა და უნაყოფო
 წვალების შემდეგ, გელოვანისათვის
 მიუმართავთ, რომელსაც თავს უდ-
 ვია მისი გამოყვანა ოთხ თვეში.
 როგორც გავიგე გელოვანს შემდეგ
 ნაირად უნდა საქმე მოაწყოს: შეკ-
 რიბოს ვირთხები და თავგები და მათ
 ზანდუკი გამოახვევინოს, რომ შემ-
 დგე ნახვრეტში თომა პუსა გამოა-
 ძვინოს. სხვათა შორის მოწვეულნი
 არიან „თაგუნა“ და „ვირთაგვა“,
 რომელნიც ამ ქიმაღ თფილისში იმ-
 ყოფებიან *) კლიაოზნი კაცი.

დ. სამტრედი. აქაური ბლალო-
 ჩინი, ერ. კანდელაკი 500 მ.
 იძლევა საჩუქარს ვინც „იმერეთის“
 კორესპონდენტის ვინაობას (სან-კანს)
 აცნობებს, ვინაიდან, მისი სიტყვით,
 ამ უკანასკნელმა ჩირქი მოსცხო მას,
 რომ სამტრედიის უმაღლეს დაწყე-
 ბითი სასწავლებელში ქართულს ხე-
 ირიანათ არ ასწავლიანო. გულუბ-
 ვობაც ასეთი უნდა! არც რ. ჩან-
 კვეტაძე ჩამორჩა მას და ვინც „ლა-
 ხტის“ გამოცანის ავტორს „შენც-
 ქე-იცის“ გამოაშკარავებს, მას პრე-
 მიათ მიეცემა თავის საუკეთესო სა-
 ნერგე-ჯიშის ვენახის რამდენიმე
 ცალი... შუ-შუ...

სურამი. ვინმე ლორიამ სხვის
 ღობეზე ხტუნვა დაიწყო. პირველად
 მარგილი ვაგსო ყელში, მაგრამ
 იოსების ოპერაციამ ძრიელ უშველა.
 თურმე კიდევ უნდა სცადოს ბედი.
 ვნახოთ რით გადარჩება! დახჯილი.

„ღონ-კინსო ტეზის“ სადღე.

გრძელო
 (ვუძღვი ჩვენ „ზოგიერთ პოეტებს“)
 აბა, შეხეთ, კახურ ღვინოს
 რა კარგია, ლალის ფერი...
 ვინც გადაჰკრავს, ის იქნება
 კმაყოფილი, ბედნიერი!..

*, იუმარ. შურ. „მათრახში“ მოთავსებულ-
 ლი ცნობა, თომა პუსას გარდაცვალების
 შესახებ ტყუილია. იგი მხოლოდ ზანდუკში
 მოემწყვდა და იმედია მალე გამოაძვრენენ.

აბა, ქიქა გენაცვალეთ, გავაცუცხლოთ უღვთო მტერი! ტკბილ სიმღერით, ღვინის ჰანგით, ვანუგეშოთ ჩვენი ერი!..

გ. ივრისხვევლი.

გაუმძიმებელი

(ანტ. ჩეხოვის*)

დადგა მშობიარობის დღეც. ქმარმა ქალაქიდან საუკეთესო ბებიამ მოიყვანა. მშობიარობა ქალისა პირველი იყო, მაგრამ კეთილად დასრულდა. როდესაც ყველაფერი მორჩა, მელოგინემ მოისურვა ახლად მშობილის ნახვა, შეჰხედა და სთქვა:

— ეხლა კი სიკვდილი შეიძლება.

გამომეშვიდობა, დაჰხუჭა თვალები და ნახევარ საათში განუტევა სული. უკანასკნელ წუთამდის მას გრძნობა არ დაუკარგავს. როდესაც წყლის მაგიერ რძე მიაწოდეს, მან ჩუმად წაიბუტბუტა:

— წყლის მაგიერ რძეს რად მაწოდებთ?..

აი ასეთი ისტორია იყო. როგორც იწინასწარმეტყველა, ისე ასრულდა. გამომძიმებელი დაჩუმდა, მწარედ ამოიოხრა და ექიმს მიუბრუნდა.

— ეხლა ამიხსენით, ბ-ნო ექიმო, რისგან მოკვდა ის დედაკაცი? გეფიცები პატიოსნებას, რომ ეს ჩემი შეთხზული კი არ არის, ნამდვილი ფაქტია.

ექიმი დაფიქრდა და ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა:

— უნდა შეგენახათ მკვდარი.

— რისთვის?

— რომ გაგვეგო, თუ რა იყო მიზეზი მისი სიკვდილისა. თავის წინასწარმეტყველობით ის კი არ გარდაიცვალა, არამედ თავს მოიწამლა.

გამომძიმებელი პირ ღია ღარჩა ექიმის ასეთ პასუხით, თვალეში ჩააცქერდა და ჰკითხა:

— საიდან გამოგყავთ ასეთი დასკვნა, რომ ის თავს მოიწამლავდა?

— მე კი არ დავასკვნი, ფიქრობ. ქმართან როგორი განწყობილება ჰქონდა?

— ჰმ! არც მაინც და მაინც კარგი. უსიამოვნება დაქორწინებისთანავე დაიწყო. ასეთი შემთხვევაც მოხდა. განსვენებულმა ერთხელ თავის ქმარს ვილაცქალთანაც კი მოასწრო... თუმცა აპატივა ყველაფერი.

— რომელი უფრო წინ მოხდა, ქმრის დალატი, თუ თავის სიკვდილზე წინასწარმეტყველება?

გამომძიმებელმა გაშტერებით მიპყრო ექიმს თვალეები, რომ გამოეცნო მასში, თუ რად აძლევდა ის ასეთ კითხვას.

— მოითმინეთ, — უპასუხა მან ცოტა ხნის შემდეგ, — მოითმინეთ, ნება მომეცით, მოვიგონო — გამოჰძიმებელმა მოიხადა ქუდი და ოფლი მიიწმინდა. დიად... დიად... მან დაიწყო. ამაზე ლაპარაკი მას შემდეგ, რაც ის შემთხვევა მოხდა... დახ, დიახ...

— აი ხედავთ... საფიქრელია, რომ მან მხოლოდ მაშინვე გადაწყვიტა თავის მოწამლევა, მაგრამ რა კი არ უნდოდა რომ ბავშვიც მოეწამლა, ამიტომ საწამლავი მოლოგინების შემდეგ დაუღვია.

— ღმერთო ჩემო! ეს შეუძლებელია, მან მაშინვე აპატივა.

— ჩქარა აპატივა, მაშასადამე, სხვას არა საკეთილოს ჰფიქრობდა. ახალგაზრდა ქალებმა პატიება არ იციან.

გამომძიმებელს ძალზე გაეცინა და რომ დაეფარა თავისი აღეღვება, ჰაპიროსს დაუწყო წევა.

— ძლივს-ძლივობით.. ძლივს-ძლივობით... — ამბობდა ის, — მე ფიქრადაც არ მომსვლია ასეთი აზრების შესაძლებლობაზე... თუ ეს მართალია, ის არც ისე დამნაშავეა, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენება... უღალატა გასაოცრად, რომ მასაც არა ჰსურდა: ერთ საღამოს შექეიფიანებული მოვიდა, უნდოდა მიეღვარსნა თავის ცოლისთვის, მაგრამ ცოლი ცუდ გუნებაზედ დახვდა. ეშმაკმა წაიღოს იმის თავი. ქუჩაში ერთ ქალს წააწყდა, რომელმაც სამი დღით მიიპატიჟა. ქალი უბრალო, უღამაზო იყო. ეს არც კი შეიძლება დალატად ჩაითვალოს. ცოლ-

მაც ას შეჰხედა ამას და ჩქარაც მიუტევა. ამის შესახებ შემდეგ ლაპარაკიც კი არ ჩამოვარდნილა.

— ადამიანები უმიზეზოდ არა ჰკვდებიან — სთქვა ექიმმა.

— ეს ასეა, რასაკვირველია, მაგრამ... არ მჯერა რომ ამისთვის თავი მოეწამლოს. საკვირველია, რატომ ამდენხანს არ მომივიდა ფიქრად ასეთ შემთხვევის შესაძლებლობაზე! ყველანი განცვიფრებულნი იყვნენ, რომ მისი წინასწარმეტყველება ასრულდა, და ასეთმა მოულოდნელმა სიკვდილმა ყველანი გააოცა. არა, შეუძლებელია რომ მას მოეწამლოს თავი, შეუძლებელია!..

გამომძიმებელი ჩაფიქრდა. მას ვერ განზორებოდა ფიქრიდან ქალის ასეთი მოულოდნელი სიკვდილი. სწერდა რა ყოველივეს, რასაც უკარნახებდა მას ექიმი, წარბებში იკმუხვნებოდა და იწმენდა შუბლიდან ოფლს, რომელიც წურწურით ჩამოსდიოდა.

— განა არსებობს ისეთი საწამლავი, რომელაც აუტკივებლად 15 წუთში ჰკლავს ადამიანს? — ჰკითხა მან ექიმს.

— დიად, არის, მორფი, მაგალიტა.

— ჰმ! საკვირველია... მახსოვს, განსვენებული რაღაც ამის და გვარ რამეს ინახავდა, მაგრამ ძლივს...

დაბრუნებისას გამომძიმებელმა ძლიერ დაღლილი გამომეტყველება მიიღო, უღვაშებს იკვებდა და უქეიფოდ ბუტბუტებდა:

— მოდი ერთი ფეხითაც გავიაროთ, — სთხოვა მან ექიმს, — მომწყინდა ეტლზე ჯდომა.

როცა გაიარეს ასი ნაბიჯი, გამომძიმებელი, როგორც ეს ექიმმა შეატყო, ძლიერ დაიქანცა, თითქოს აღმართზე მიდიოდა. ის შეჩერდა. დააცქერდა ექიმს თვალეში და ჰკითხა:

— ღმერთო ჩემო! თუ თქვენი სიტყვები მართალია, ეს საძაგლობაა, უღმერთობაა. მოიწამლა თავი იმიტომ, რომ ამით სხვა დაესაჯა! და განა ცოდვები ისეთი დამტანჯველია ადამიანისა? ღმერთო, ჩემო!

* იხ. „ლახტის“ 7-დე ნომერი.

ექიმი, როგორ მოგივიდათ თავში ასეთი ფიქრები?..

— ეს მე ჩემ ცოლზე გამახსენეთ, ჩემ ცოლზე, მე ვარ დამნაშავე, მე მივაყენე შეურაცხყოფა, მაგრამ ნუ თუ სიკვდილი უფრო ადვილია, ვიდრე პატიება! აი დედაკაცების მკაცრი, შეუწყნარებელი ლოდიკა!.. ეხლა ყველაფერი მომავიწყდა, ჩემთვის ეხლა ყველაფერი ცხადია!..

გამომძიებელი მხრების აწევით ლაპარაკობდა და თან ხელებს თავში იტყმდა. სრულებით ახალი აზრი იყო მისთვის, რომელიც მას ექიმმა მოუთხრო, თითქოს მოსწამლა ის, სასოწარკვეთა; სრულებით დაიბნა, დაიქანცა, მთელი სხეული მოუდუნდა და როდესაც ქალაქში დაბრუნდნენ, გამოემშვიდობა და უარი უთხრა, ექიმს მიპატიებებზე, თუმცა წინა დღით სიტყვა მისცა, რომ მასთან ესაღიღნა. Fleisvig.

უპრ-მოკრული საუბარი

— შენ ეი, მჭედლოშვილი ხარ, თუ რალადა ეშმაკები! შენი თავი მართლა რა დიდი პოეტი გგონია, ისე გაივლი ხოლმე ქუჩაში, რომ ნაცნობებს ველარ ამხნევ თვალწინ.

— უკაცრავად, ნინო, თქვენ ეგ მშვენიერი კანკები იმ სიმაღლეთ გამოგიჩენიათ, რომ ყოვლად შეუძლებელია აღამიანმა სახეზე შემოგხელოთ და კანკებზე ხომ ვერ გიცნობდით ვინ იყავით?!..

— Воть нахаль! ნუნუ.

გასართობი

— შენ ისევა გსურს დაუბრუნდე შენს ქმარს! შეატყობინე?..

— მაშ, გუშინვე შლიაპა ვიყიდე და ანგარიში გაუგზავნე!..

— არა გრცხვენია, როგორ აკოცინე ფრანგულის მასწავლებელს?..

— არა დედა, მე ჯერ იმდენი არ ვიცოდი, რომ აღმეკრძალა მისთვის ეს საქციელი!.

— რას უნდა აკეთებდნე გათხოვებადმდე?..

— უნდა ვეცადო, როგორმე გავსოხოდე.

— მაგრამ.. გათხოვების შემდეგ?!

— ვეცადო, როგორმე დავამსხვრიო ეს საზიზღარ ბორკილი!..

— ჰჰჰჰჰ..

ცოლი. რა დასწერე ჩემო კარგო?

ქმარი. დიდებული ლექსი სახელად „ფანტაზია“

ცოლი. რისა?

ქმარი. ცოლის გაშორებისა. ის ხომ ჩემი დიდებული ფანტაზია იქნება? მაგრამ ველირსები?!.. გოგია.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნ რედაქტორო! უმადრად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემს წერილს თქვენ პატარა ჟურნალ „ლასტო“

„ლასტის“ მე-7 ნომერში მოთავსებული, „გამოცანა“ „მუხამბრის“ ფსევდონიმით, რომელიც მუშა მკვლევარს დიდს შეურაცხყოფას აყენებს, სხვათა შორის, მკვლევარის სარდაფში თავ ვირ დამტრეულ სახლას გულშემატკვარსაც დანძღვას უთვლის, ვგულა მესება მე, ამისათვის „მუხამბრის“ ვიწვევ სპედატორს სსსამართლოში, რათა დამ-

იტყვას ჩემი სპეციალური სპეციალური გამოცხადებები ერთ ჯვარს ვადას ვაძვევ დასასხელს შედატორები. ჩემის მხრით შედატორებათ ვასახელებ: ალ. ბაჯიაშვილს, გ. ჯომარდიეს, ი. კალანდარაძეს და თ. ნავაგატოვს.

სვიმონ მეჩეკე.

ჩვენი მოსტა.

გ. თუმანაშვილს. თქვენი ლექსი „იქნებ ბოლოში სწორება“ ვერც დასაწყისში ვნახეთ სისწორე და ვერც ბოლოში. ნათქვამია: „კუხიანს სამარე გახსოვრებო“ და თქვენი ლექსიც კალათაში გასწორდება.

ბ. აბდუფაგის. თქვენი ლექსისთვის ვერ გიწოდებოთ შესაფერი სათაური „ბალი“. ბოლო რამ დაგვწერათ, უფრო შეეფერებოდა. ამისათვის ვერ დაიბეჭდება.

ბ. პირაქის. თქვენი ლექსი „ფოთელ მოწყაფეთა შორის“ ბალმონტს გადაგვით გადსათარგმნელად.

ბ. თხევრადის. თქვენი ლექსი „მიყვარს ტყე“ შე დალოცვლო ვინ გიშლის ტყის სუფარულს, ამისათვის როგორ აბანდებდით კალამი? ამასთანავე რომ ბრძანებთ თქვენს ლექსში „პირუტყვით ქვევა სჯობიანო“ სწორედ პირუტყვისთვის არის ტყე.

სონიაშ-დროშის. „დაგვანებული მილოცვა ფოთისთვის“ რადვანაც დაგვინებოთ, ამიტომ არ იბეჭდება.

მ. არაქლის. თქვენი ნახატი მეგობრული საჩუქრით მოსკოვში გავგზავნეთ ტრეტიკოვის გალერეაში



ახალი მოდა „ბანაო“